# ა ნ გ ა რ ი შ ი

## გაწეული საქმიანობის შესახებ

2017 წლის ანგარიში

ეროვნული სატყეო სააგენტო
www.forestry.gov.ge

# შინაარსი


სამართლებრივი უზრუნველყოფა ..... 1

საფინანსო საქმიანობა ..... 5

ტყის აღრიცხვა და კვლავწარმოება ..... 12

ტყითსარგებლობა და რეგიონული გავითარება ..... 17

სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობა ..... 28

ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება ..... 33

საზოგადოებასთან ურთიერთობა და განათლება ..... 34

# სამართლებრივი უზრუნველყოფა

## იურიდიული სამსახურის 2017 წლის ანგარიში

**ნორმატიული აქტები:**

1. მომზადდა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; ***(მრგვალი ხე-ტყის (მორის) დახარისხების უფლებამოსილების სააგენტოსთვის მინიჭების საკითხზე, ასევე სოციალური ჭრის წესებთან დაკავშირებით და სხვა);***

2. მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 მარტის N106 დადგენილებით მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; ***(ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემისა და აუქციონის საწყისი წლიური ფასის განსაზღვრის წესთან დაკავშირებით);***

3. მომზადდა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2014 წლის 31 დეკემბრის N317/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბრძანების პროექტი;

4. მომზადდა "საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საქართველოს მთავრობის დადგენილება;

5. მომზადებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; ***(წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ფარგლებში შესწავლითი სამუშაოებისათის გადასახდელი საკომპენსაციო საფასურის გადახდის წესის შეცვლასთან დაკავშირებით);***

6. მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც უკვე გამოცემული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; ***(საქართველოს შიგა წყლების ნაპირებზე არსებული ძირნაყარი მერქნული რესურსის გაცემის და ტყის ფონდის გარეთ მოჭრილი რესურსის განკარგვის წესთან დაკავშირებით);***

7. მომზადებული და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ივნისს N285 დადგენილებით მიღებული იქნა "საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; ***(სახელმწიფო საკუთრებაში რეგიგსტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შიგა წყლების ნაპირებზე, რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაპტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე, ძირნაყარი მერქნული რესურსის დასაწყობებისა და გაცემის წესთან დაკავშირებით (სახელმწიფო ქონების შესახებ კანონიდან გამომდინარე);***

8. მომზადებული და  საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 მაისის N255 დადგენილებით მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 ივნისის №260 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“; ***(საკომუნიკაციო ნაგებობების ფასის რეგულირების საკითხთან დაკავშირებით);***.

9. მომზადებული და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის N1043 განკარგულებით მიღებული იქნა „საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1150 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“; ***(საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსების ვადებთან დაკავშირებით);***

10. მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც უკვე გამოცემული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ ***(თაროების შესყიდვასთან დაკავშირებით);***

11. მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც უკვე გამოცემული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ ***(სტელაჟების შესყიდვასთან დაკავშირებით);***

12. მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც უკვე გამოცემული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ ***(კარადების შესყიდვასთან დაკავშირებით);***

13. მომზადდა და სამინისტროს გაეგზავნა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც უკვე გამოცემული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ

სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ ***(ბულდოზერების შესყიდვასთან დაკავშირებით);***

14. მომზადდა და სამინისტროს გაეგზავნა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი, რომელიც უკვე გამოცემული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ ***(კონდინციონერების შესყიდვასთან დაკავშირებით);***

15. მომზადებული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი. ***(სატვირთო მანქანების შესყიდვასთან დაკავშირებით);***

16. მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა „შპს „გადაარჩინე ტყესათვის“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყის მოვლის ღონისძიების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი;

17. მომზადებული იქნა „2017-2018 წლებში სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული II ხარისხის ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი;

28. მომზადებული იქნა „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობასთან, მათ შრომის ანაზღაურებასა და სააგენტოში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N2731 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი;

29. მომზადებული და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 აგვისტოს N376 დადგენილებით მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებულ ტყითსარგებლობის წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება ***(სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე წიაღის შესწავლითი სამუშაოების განხორციელების მიზნით მერქნიანი მცენარეების მოჭრისათვის საკომპენსაციო საფასურის გადახდის ეფექტური წესის დადგენასთან დაკავშირებით.);***

20. მომზადებული და საქარველოს მთავრობის 2017 წლის 3 ივლისის №319 დადგენილებით მიღებული იქნა „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს

მთავრობის დადგენილება *(ტყეკაფის მონიშვნის, გამოყოფის, ხე-ტყის დამზადებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) დახარისხების წესი. მერქნული რესურსისათვის ხარისხის მინიჭება );*

21. მომზადებული და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის N543 დადგენილებით მიღებული იქნა „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება *(წითელი ნუსხით დაცული მერქნიანი მცენარეების გარემოდან ამოღების რეგულაცია წიაღით სარგებლობის დროს ).*

**სასამართლოებში განხილული და მიმდინარე საქმეები:**
სააგენტოს  წარმომადგენლობა საერთო სასამართლოებში განხორციელდა - 20 საქმეზე;
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ დაკმაყოფილდა - 9 საქმე;
წაგებული იქნა დავა (პირველ ინსტანციაში) – 1 საქმეზე;
შედგა მორიგება (სააგენტოს სასარგებლოდ) - 1 საქმეზე;
მიმდინარეა - 9 საქმე;

**მიმდინარე პერიოდისათვის რეგიონული სატყეო სამსახურების მიერ განხილული და მიმდინარე საქმეები:**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე შედგენილია -2550 ოქმი;
სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნის მქონე - 44 საქმე;
სასამართლოში განსახილველად გადაიგზავნა -2492 საქმე;
სასამართლომ განიხილა - 2169  საქმე;
შეწყვეტილია - 9 საქმე;
მიმდინარეა - 323 საქმე.

# საფინანსო საქმიანობა

## *ბიუჯეტის შესრულების შესახებ*

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2017 წლისათვის ,,საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული ბიუჯეტის (საქართველოს მთავრობის N220 განკარგულება 09.02.17.) დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 17'455,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 9'180,0 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 8'275,0 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები დაგეგმილი იქნა სულ 18'555,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 9'180,0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 8 155,0 ათ. ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებულ თავდპირველ ბიუჯეტში, საანგარიშო პერიოდში, შეტანილი იქნა ცვლილებები (საქართველოს მთავრობის განკარგულებები N1201 15.06.17. და N1500, 21.07.18.) რომლის შესაბამისად სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 25'382,5 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით 8'447,0 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 16'935,5 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები დაგეგმილი იქნა სულ 25'192,5 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 8'447,0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 16'745,5 ათ. ლარის ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, სააგენტომ 2017 წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეათანხმა მიზნობრივი გრანტის ხარჯთაღრიცხვა 1320,9 ათას ლარზე.

დაზუსტებული გეგმით, პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ფულადი სახსრების ნაშთის (1 100,1 ათ. ლარი) ცვლილებამ (ზრდამ) შეადგინა - 190,1 ათ. ლარი.*ათ. ლარი*

| დასახელება | 2017 წლის დაზუსტებული გეგმა | | | | 2017 წლის ფაქტი | | | | 2017 წლის შესრულება | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მთლიანი ბიუჯეტი | მათ შორის | | | მთლიანი ბიუჯეტი | მათ შორის | | | მთლიანი ბიუჯეტი | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტი | საკუთარი შემოსავლები | მიზნობრივი გრანტი | | სახელმწიფო ბიუჯეტი | საკუთარი შემოსავლები | მიზნობრივი გრანტი | | სახელმწიფო ბიუჯეტი | საკუთარი შემოსავლები | მიზნობრივი გრანტი |
| ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის | | | 1,100,052.0 | | | | 1,100,052.0 | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| **შემოსულობები** | 26,703,450.0 | 8,447,000.0 | 16,935,500.0 | 1,320,950.0 | 22,679,937.3 | 8,425,664.0 | 14,227,723.8 | 26,549.6 | 84.93% | 99.75% | 84.01% | 2.01% |
| **შემოსავლები** | 26,703,450.0 | 8,447,000.0 | 16,935,500.0 | 1,320,950.0 | 22,679,937.3 | 8,425,664.0 | 14,227,723.8 | 26,549.6 | 84.93% | 99.75% | 84.01% | 2.01% |
| *მ.შ. საბიუჯეტო სახსრები* | 8,447,000.0 | 8,447,000.0 | | | 8,425,664.0 | 8,425,664.0 | | | 99.75% | 99.75% | | |
| *მ.შ. საკუთარი შემოსავლები* | 16,410,500.0 | | 16,410,500.0 | | 13,702,723.8 | | 13,702,723.8 | | 83.50% | | 83.50% | |
| *გრანტები* | 525,000.0 | | 525,000.0 | | 525,000.0 | | 525,000.0 | | 100.00% | | 100.00% | |
| *მიზნობრივი გრანტი* | 1,320,950.0 | | | 1,320,950.0 | 26,549.6 | | | 26,549.6 | 2.01% | | | 2.01% |
| *გადასახდელები 38 04 (წაერთი)* | 25,192,451.0 | 8,447,000.0 | 16,745,451.0 | 1,320,950.0 | 21,584,919.7 | 8,425,664.0 | 13,159,255.7 | 26,549.6 | 86% | 100% | 79% | 2% |
| *გადასახდელები 38 04 01 (აპარატი)* | 16,500,981.0 | 6,985,000.0 | 9,515,981.0 | | 15,518,827.1 | 6,969,072.0 | 8,549,755.1 | | 94% | 100% | 90% | 0% |
| *გადასახდელები 38 04 02 (მოვლა-აღდგენის ღონისძიებები)* | 1,029,500.0 | 231,000.0 | 798,500.0 | 1,320,950.0 | 566,011.9 | 228,070.4 | 337,941.5 | 26,549.6 | 55% | 99% | 42% | 2% |
| *გადასახდელები 38 04 03 (ტყითსარგებლობის ღონისძიებები)* | 7,246,970.0 | 1,231,000.0 | 6,015,970.0 | | 5,333,177.2 | 1,228,521.6 | 4,104,655.6 | | 74% | 100% | 68% | 0% |
| *გადასახდელები 38 04 04 (ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია)* | 415,000.0 | 0.0 | 415,000.0 | | 166,903.5 | 0.0 | 166,903.5 | | 40% | 0% | 40% | 0% |
| *ნაშთის ცვლილება* | 190,049.0 | 0.0 | 190,049.0 | 0.0 | 1,068,468.1 | 0.0 | 1,068,468.1 | 0.0 | | | | |

- *საბიუჯეტო სახსრები*

2017 წლისათვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განსაზღვრული იქნა 8’447,0 ათ. ლარით, აქედან აპარატის ხარჯებისათვის დაიგეგმა - 6’985,0 ათ. ლარი, ხოლო სატყეო ღონისძიებებისათვის - 1’462,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში, წლიური საბიუჯეტო ვალდებულება აღებულ იქნა 8’437,8 ათ. ლარზე (გეგმის 100%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8’425,7 ათ. ლარი (დაგეგმილი მოცულობის 100%). აქედან:

სააგენტოს აპარატში დაგეგმილი იქნა გადასახდელები 6’985,0 ათ. ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 6’981,1 ათ. ლარზე (გეგმის 100%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6’969,1 ათ. ლარი (გეგმის 100%).

- ✓ შრომის ანაზღაურების ფონდში დაგეგმილი 5’565,0 ათ. ლარიდან, რომელიც წარმოადგენს ძირითადი საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ფონდს, ათვისებული იქნა 5’564,0 ათ. ლარი (გეგმის 100%);
- ✓ საქონელი და მომსახურების მუხლით, მიმდინარე წლის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იქნა 1’269,1 ათ. ლარის ხარჯის გაწევა, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 1’255,6 ათ. ლარი (გეგმის 99%). აქედან, მივლინებებზე მიმართული იქნა 123,8 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 92,6 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 704,9 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 334,2 ათ. ლარი.
- ✓ სოციალური უზრუნველყოფის მუხლით დაგეგმილი იქნა 50,0 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 49,8 ათ. ლარი (გეგმის 100%).
- ✓ ,,სხვა ხარჯებისთვის“ (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი) – დაგეგმილი იქნა 64,0 ათ. ლარი, აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 63,7 ათ. ლარზე (გეგმის 100%),
- ✓ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაგეგმილი იქნა 30,0 ათ. ლარი- საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 29,1 ათ. ლარზე. (გეგმის 97%):
- ✓ ,,ვალდებულებების კლების“ მუხლით პირველ კვარტალში დაგეგმილი იქნა 6,9 ათ. ლარი (2016 წელს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებაზე), საიდანაც განხორციელდა საკასო გადახდა 6,9 ათ. ლარზე (გეგმის 100%).

**სააგენტოს ღონისძიებებიდან** მიმდინარე წელს საბიუჯეტო სახსრებიდან ხარჯების გაწევა დაიგეგმა 2 ღონისძიებაზე:

- ✓ ,,ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“ – 231,0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 228,2 ათ. ლარზე, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 228,1 ათ. ლარი (გეგმის 99%). საკასო შესრულება სრულიად მიმართული იქნა საქონელი და მომსახურების მუხლით, აქედან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 173,6 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 1,8 ათ. ლარი, სამედიცინო ხარჯებისთვის 16,0 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 1,2 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 35,5 ათ. ლარი.

- ✓ ,,ტყითსარგებლობის ღონისძიებებისათვის“ – 1 231,0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 1 228,5 ათ. ლარზე, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 228,5 ათ. ლარი (გეგმის 100%). საკასო შესრულება მიმართული იქნა ‘’საქონელი და მომსახურების’’ მუხლით ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 62,5 ათ. ლარი, ხოლო ‘’არაფინანსური აქტივების ზრდის’’ მუხლით ხარჯი გაწეული იქნა 1’166,0 ათ. ლარზე.

- *კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები*

საბიუჯეტო სახსრების გარდა, სააგენტოს, 2017 წელს დაგეგმილი ქონდა სხვა (საკუთარი) შემოსავლების სახით მიეღო 16 935,5 ათ. ლარი. აქედან: გრანტები სსიპ-ებიდან 525,0 ათ. ლარი, მომსახურების საფასურის, ტყითსარგებლობის წლიური საფასურის და სხვა კანონით ნებადართული შემოსავლების სახით - 3 425,0 ათ. ლარი; 8 994,5 ლარის მიღება დაგეგმილია მერქნული რესურსის დამზადებისა და აუქციონის წესით გაცემის სახით მისაღები შემოსავლებიდან; 240,0 ათ. ლარი - ბანკში დეპოზიტზე დარიცხული პროცენტიდან, ხოლო 3 751,0 ათ. ლარი საკომპენსაციო თანხებიდან;

ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა მიმდინარე წელს შეადგინა **14’227,7 ათ. ლარი.** მათ შორის:

- გრანტები სსიპ-ებიდან - 525,0 ათ. ლარი (შემოსავლების 3,7%);
- ხე-ტყის დამზადების ბილეთების გაცემიდან - 1 500,4 ათ. ლარი (შემოსავლების 10,5%);
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა და დაფირნიშება - 122,9 ათ. ლარი (0,9%);
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (საკომუნიკაციო ანძების განთავსებისთვის ტყის ფონდის ტერიტორიაზე) – 1 279,2 ათ. ლარი (9%); ;
- ტყითსარგებლობის ხელშეკრულებებიდან (ტყის ფონდის სარგებლობა) – 16,6 ათ. ლარი (0,1%);
- ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ფორმისა და სპეციალური ფირნიშების რეალიზაციიდან - 66,7 ათ. ლარი (0,5%);
- ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისთვის საკომპენსაციო საფასურიდან - 3 249,1 ათ. ლარი (22,8%);
- მერქნული რესურსის რეალიზაციიდან - 7 225,5 ათ. ლარი (50,8%) ;
- სხვა დანარჩენი (ბანკის სარგებელი) – 239,1 ათ. ლარი (1,7%);
- სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (პირგასამტეხლო) - 3,1 ათ. ლარი.







საკუთარი შემოსულობების მეოთხე კვარტლის შესრულების მაღალი მაჩვენებელი გამოიწვია მერქნული რესურსის (მათ შორის საჯარო სკოლებისათვის სათბობი შეშის მიწოდება) რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდამ: წლიური შესრულებიდან - (7’225,5 ათასი ლარი) მე-4 კვარტალში მობილიზებული იქნა 4’180,0 ლარის სახსრები.

საანგარიშო პერიოდში, **საკუთარი შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების წლიური მოცულობა დაგეგმილი იქნა 16’745,4 ათ. ლარი,** ვალდებულებებმა შეადგინა 14’949,6 ათ. ლარი (გეგმის 89%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 13’159,3 ათ. ლარზე (გეგმის 79%). აქედან:

**სააგენტოს აპარატში** დაგეგმილი იქნა გადასახდელები 9’515,9 ათ. ლარის ოდენობით, ვალდებულება აღებულ იქნა 8’713,7 ათ. ლარზე (გეგმის 92%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8’549,8 ათ. ლარი (გეგმის 90%). მათ შორის:

- ✓ შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა - 3’122,8 ათ. ლარი (გეგმის 100%), აქედან 1’405,6 ათ. ლარი -,,დანამატის“ ქვემუხლით და 769,6 ათ. ლარი ‘’პრემიის’’ ქვემუხლით.
- ✓ ,,საქონელი და მომსახურების“ მუხლით ვალდებულება აღებული იქნა 2’280,9 ათ. ლარზე (გეგმის 94%), საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 2’213,7 ათ. ლარზე (გეგმის 91%); მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიიმართა - 1’448,7 ათ. ლარი, მივლინებებზე - 17,2 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებზე - 178,5 ათ. ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე 5,2 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 466,1 ათ. ლარი, სხვა დანარჩენი (ექსპერტიზის, შენობა ნაგებობების დაცვის ხარჯი და სხვ) - 98,0 ათ. ლარი.
- ✓ ,,გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების“ მუხლით გათვალისწინებული იქნა 1’671,1 ათ ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 1’408,8 ათ. ლარი (გეგმის 84%), აქედან სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული იქნა 1’378,8 ათ. ლარი, ხოლო 30,0 ათასი ლარი გადაეცა სსიპ ეროვნულ საშენ მეურნეობას.
- ✓ ‘’სოციალური უზრუნველყოფის’’ მუხლით გათვალისწინებული იქნა 80,0 ათ. ლარი, რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 65,4 ათ. ლარი (გეგმის 82%);
- ✓ ,,სხვა ხარჯებისთვის“ გათვალისწინებული იქნა 1’759,4 ათ ლარი, (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები: დღგ, ქონების, მოგების და სხვ; სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი) – ვალდებულება აღებული იქნა 1’598,7 ათ. ლარზე (გეგმის 91%). აღნიშნული მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 1’597,2 ათ. ლარზე (გეგმის 91%).
- ✓ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაგეგმილი იქნა 449,4 ათ. ლარი- საიდანაც საკასო გადახდა განხორციელდა 140,2 ათ. ლარზე (გეგმის 31%).
- ✓ ,,ვალდებულებების კლების“ მუხლით პირველ კვარტალში დაგეგმილი იქნა 1,5 ათ ლარი, რომლის საკასო შესრულება შეადგინა 1,5 ათ ლარი (გეგმის 100%).

**სააგენტოს ღონისძიებებიდან** მიმდინარე წელს საკუთარი შემოსავლებიდან ხარჯების გაწევა დაიგეგმა 3 ღონისძიებაზე:

- ,,ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებისათვის“ – 798,5 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 491,0 ათ. ლარზე (გეგმის 61%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 337,9 ათ. ლარი (გეგმის 42%), მათ შორის:
  - ✓ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 334,8 ათ. ლარი, აქედან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 105,9 ათ. ლარი, ოფისის ხარჯებისათვის - 16,1 ათ. ლარი, სამედიცინო ხარჯებისთვის 88,8 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 15,4 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 108,7 ათ. ლარი.
  - ✓ ,,ვალდებულებების კლების“ მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 3,1 ათ.ლარზე (2016 წელს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება).

- ,,ტყითსარგებლობის ღონისძიებებისათვის“ – 6’015,9 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 5’516,3 ათ. ლარზე (გეგმის 92%), ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4’104,7 ათ. ლარი (გეგმის 68%), მათ შორის:
  - ✓ „საქონელი და მომსახურების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 3’416,4 ათ. ლარი, აქედან, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე მიმართული იქნა 37,8 ათ. ლარი, ტრანსპორტის მოვლა-შენახვაზე - 257,5 ათ. ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე 3’121,1 ათ. ლარი (მერქნული რესურსის დამზადება).
  - ✓ ,,სხვა ხარჯების“ მუხლით საკასო შესრულებამ შეადგინა 665,7 ათ. ლარი (მერქნული რესურსის მოსაკრებელი).
  - ✓ ,,ვალდებულებების კლების“ მუხლით საკასო გადახდა განხორციელდა 22,6 ათ.ლარზე (2016 წელს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება).

- „ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებებისათვის“ დაგეგმილი იქნა 415,0 ათ. ლარი, საიდანაც ვალდებულება აღებული იქნა 228,6 ათ. ლარზე (გეგმის 55%), რომლის საკასო შესრულებამ შეადგინა 166,9 ათ. ლარი (გეგმის 40%), საკასო შესრულება სრულიად მიმართული იქნა ‘’საქონელი და მომსახურების’’ მუხლით სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე.

### *დაფინანსება სხვა წყაროებიდან*

2016 წლის ბოლოს ხელი მოეწერა ,,იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის შესახებ" ხელშეკრულებას მიზნობრივი დაფინანსების შესახებ საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის, რომლის თანახმად სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მისაღები თანხა შეადგენს 950 000 აშშ დოლარს (ცხრაას ორმოცდაათი ათასი აშშ დოლარი). აღნიშნული თანხა დარეგისტრირდა ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის ელექტრონულ ბაზაში, 2017 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა გრანტის ხარჯთაღრიცხვის შეთანხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან 1’320’950 ლარზე და დამტკიცდა 2017 წლის შესყიდვების გეგმა. თანხის ათვისება დაიწყო მესამე კვარტალში და საკასო შესრულებამ შეადგინა 26,5 ათ. ლარი, თანხა სრულიად მიმართული იქნა ‘’საქონელი და მომსახურების’’ მუხლით სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე.

### *ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია*

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს 2017 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე;

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულებები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს 2017 წლის ბიუჯეტის დაზუსტების თაობაზე.
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯების კვარტალურ განწერაში (კვარტლებსა და კლასიფიკაციის მუხლებს შორის დაზუსტების მიზნით);
- ✓ ,,ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 მარტის N107 დადგენილების შესაბამისად, სამინისტროს წარედგინა ინფორმაცია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2015-2016 წლების შეფასებისა და2017 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ
- ✓ სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში შემუშავდა 2018-2021 წწ. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის კომპონენტი;
- ✓ მომზადდა სააგენტოს 2018-2021 წწ. საბიუჯეტო განაცხადი.
- ✓ სააგენტოს საფინანსო საქმიანობის მართვის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა პროგრამის „ორის-მენეჯერის“ შემენა.

# ტყის აღრიცხვა და კვლავწარმოება

## ტყის აღრიცხვისა და კვლავწარმოების დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიში

### ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველო

<u>გურია</u>

- განხორციელდა მოვლის ღონისძიებები ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოში ტყის აღდგენის კომპლექსური პროექტის (18,2 ჰა) შესაბამისად გაშენებულ ფართობებზე. განხორციელდა ნერგების გარშემო ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება, მორწყვა.
- მოვლის ღონისძიება ჩაუტარდა ლანჩხუთის სატყეო უბნის მთის სატყეოში გაშენებულ ტყის კულტურებს 0,3 ჰა და 0,7 ჰა ფართობებზე. განხორციელდა ნერგების გარშემო ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება, მორწყვა.
- შესწავლილი იქნა კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათის შერჩეული 5,0 ჰა ფართობი.
- განხორციელდა თესვა ლანჩხუთის სატყეო უბნის სუფსის სატყეოში არსებულ ტყის დროებით სანერგეში (მეორედ ბრუნვა).
  ოზურგეთის სატყეო უნბის მთისპირის სატყეოში განხორციელდა ტყის აღდგენის კომპლექსული პროექტით გაშენებულ ფართობზე შევსება, დაირგო 5000 ცალი ნერგი.

<u>მცხეთა მთიანეთი</u>

- მოვლის ღონისძიებები (გამარგვლა-გაფხივიერება-მორწყვა) ჩაუტარდა მცხეთა-დიდგორის სატყეო უბნის ბევრეთის სატყეოს ტერიტორიაზე 2,4 ჰა ფართობზე გაშენებულ ტყის კულტურებს. აღნიშნულ ფართობზე ჩატარებული იქნა გეგმიური ინვენტარიზაცია.

<u>ქვემო ქართლი</u>

- მოვლის ღონისძიებები (ნიადაგის გამარგვლა-გაფხვიერება) ჩაუტარდა ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის სიონის სატყეო უბნის ფოლადაურის სატყეოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორ დროებით ტყის სანერგეში (0,4-0,4 ჰა) არსებულ ნათესარებს. აღნიშნულ სანერგეებში ჩატარებული იქნა გეგმიური ინვენტარიზაცია.
- თეთრიწყაროს სატყეო უბნის ხრამის სატყეოს ტერიტორიაზე 0,4 ჰა ფართობზე მოწყობილ ტყის დორებით სანერგეში მომზადდა ნიადაგი და დაითესა ფიჭვი.

<u>შიდა ქართლი</u>

- მოვლის ღონისძიებები ჩაუტარდა (გამარგვლა-გაფხვიერება-მორწყვა) ალისა (0,7 ჰა) და ქსნის (0,2 ჰა) სატყეოებში მოწყობილ დროებით ტყის სანერგეებში არსებულ ნათესარებს.
- ასევე ჩატარდა მოვლის ღონისძიებები (გამარგვლა-გაფხვიერება-მორწყვა) ქსნის სატყეოს ტერიტორიაზე გაშენებულ ვერხვის პლანტაციაში (0,6 ჰა).

<u>კახეთი</u>

- მოვლის ღონისძიებები განხორციელდა კახეთის სატყეო სამსახურის დაქვემდებარებულ სატყეოების ტერიტორიებზე გაშენებულ აკაციის პლანტაციებში (3,5 ჰა; 6,5 ჰა; 5,8 ჰა; 14,7 ჰა). პლანტაციებში გაშენებულ ნერგების გარშემო ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება.
- ასევე მოვლის ღონისძიებები ჩაუტარდა საგარეჯო-გურჯაანის სატყეო უბნის ლელის სატყეოს ტერიტორიაზე 0,2 ჰა ფართობზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეში არსებულ თესლნერგებს (გამარგვლა-გაფხვიერება-მორწყვა).
- გეგმიური ინვენტარიზაცია ჩატარდა სამ აკაციის პლანტაციაში (3,5 ჰა; 5,8 ჰა; 14,7 ჰა).
- შედგენილი და დამტკიცებული იქნა თელავი-ახმეტის სატყეო უბნის მაღრაანის სატყეოში აკაციის პლანტაციის გაშენების პროექტი 20,0 ჰა ფართობზე.
- შესწავლილი იქნა ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათის შერჩეული 5,0 ჰა ფართობი ლაგოდეხი-ყვარლის სატყეო უბნის ყვარლის სატყეოში.
- საგარეჯო-გურჯაანის სატყეო უბნის ლელის სატყეოში გაშენებულ აკაციის პლანტაციაში (14,7 ჰა) განხორციელდა შევსება, დაირგო 15 435 ცალი ნერგი;
- დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის ტერიტორიაზე გაშენებულ აკაციის პლანტაციაში (5,8 ჰა) განხორციელდა შევსება, დაირგო 15 950 ცალი ნერგი.

<u>იმერეთი</u>

- მოვლის ღონისძიებები განხორციელდა ხარაგაულისა (0,06 ჰა) და ტყიბულის (0,12 ჰა) სატყეოების ტერიტორიებზე მოწყობილ ტყის დროებით სანერგეებში (გამარგვლა-გაფხვიერება).
- შედგენილი და დამტკიცებული იქნა ტყის გაშენების პროექტი ხონი-წყალტუბო სატყეო უბნის ჟონეთის სატყეოს ტერიტორიაზე 2,4 ჰა ფართობზე.
- შესწავლილი, შედგენილი და დამტკიცებული იქნა ჭიათურის სატყეო უბნის ტერიტორიაზე მანდაეთისა (5,0 ჰა) და გეზრულის (6,5 ჰა) სატყეოებში ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტები.
- ჭიათურა-საჩხერის სატყეო უბნის მანდაეთის (5.0 ჰა ) და გეზრულის ( 6.5 ჰა) სატყეოებში, ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის დაპორექტებულ ფართობებზე განხორციელდა ფართობების გაწმენდის სამუშაოები (განხორციელდა სანიტარული ჭრა).

<u>სამცხე-ჯავახეთი</u>

- ტყის მოვლის ღონისძიებები ჩაუტარდა 2008 წლის ნახანძრალ ტერიტორიაზე (ჩარხისწყლის სატყეო) 2013-2017 წლებში გაშენებულ ტყის კულტურებს 81,0 ჰა ფართობზე (ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება).
- მოვლის ღონისძიება განხორციელდა ამავე ტერიტორიაზე არსებულ დროებითი ტყის სანერგეში 0,3 ჰა ფართობზე (ნათესარების გამარგვლა-გაფხვიერება).
- მოვლის ღონისძიება ჩაუტარდა ბორჯომის „პლატო“-ს ტერიტორიაზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტის (27,7 ჰა) ფარგლებში გაშენებულ ტყის კულტურებს. ასევე განხორციელდა პროექტით გათვალისწინებული ფართობების გაწმენდა.
- მოვლის ღონისძიებები განხორციელდა ურაველის სატყეოში 0,08 ჰა ფართობზე მოწყობილ დროებითი ტყის სანერგეში (ნათესარების გამარგვლა-გაფხვიერება).
- მოვლის ღონისძიება (გამარგვლა-გაფხვიერება) განხორციელდა ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პროექტით გათვალისწინებულ 3,4 ჰა ფართობზე.
- ბორჯომის სატყეო უბნის ბორჯომის სატყეოს ტერიტორიაზე („პლატო“) ბუნებრივი განახლების ხელშეწყობისათვის დაპროექტებულ ფართობზე განხორციელდა შერგვა, დარგული იქნა 9380 ცალი ნერგი;
- ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს ტერიტორიაზე არსებულ ტყის დროებით სანერგეში (0.3 ჰა) დაითესა მუხა და ნეკერჩხალი (სანერგის მეორედ ბრუნვა);
- ბაკურიანის სატყეო უბნის ტერიტორიაზე არსებულ ტყის დროებით სანერგეში განხორციელდა ნიადაგის მომზადება (სანერგის მეორედ ბრუნვა).

<u>სამეგრელო-ზემო სვანეთი</u>

- შესწავლილი იქნა 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ტყის დროებითი სანერგის მოსაწყობი ფართობი კოლხეთის სატყეო უბნის ხეთის სატყეოს ტერიტორიაზე 0,5 ჰა ფართობზე. შედგენილი და დამტკიცებული იქნა შესაბამისი პროექტი.
- მოეწყო ტყის დორებითი სანერგე 0,5 ჰა ფართობზე, კოლხეთის სატყეო უბნის ხეთის სატყეოში (შემოღობვა, ნიადაგის დამუშავება-მოხვნა, თესვა).

**მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ განხორციელებული ბრძოლის ღონისძიებები**

კოლხური ბზის კორომებში განხორციელებული ღონისძიებები:

- იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონებში განთავსდა ბზის ალურას დასაჭერად განკუთვნილი 500 ცალი ხაფანგი და შესაბამისად 500 ცალი ფერომონი.
- კოლხური ბზის გადარჩენის ეროვნული მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდა კოლხური ბზის კორომების რიგით II შეწამლვა - 400 ჰა ფართობზე (გურიის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში).

- ბზის ალურას რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე (150 ჰა ფართობი) გავრცელების შესაბამისად, დამატებით განხორციელდა 600 ლიტრი პრეპარატისა (ლეპიდინი) და მომსახურების შეძენა. განხორციელდა შეწამლვა ცაგერი-ჯონოულის ხეობასა და ამბროლაური-შარეულას ხეობაში.
- განხორციელდა სამოქმეგო გეგმით გათვალისწინებული კოლხური ბზის კორომების შეწამვლის მესამე ეტაპი 400 ჰა ფართობზე, დამატებით 150 ჰა ფართობზე კი განხორციელდა შეწამვლის მე-2 ეტაპი.
- ბზის ალურას დასაჭერად განკუთვნილ 500 ცალ ხაფანგში განხორციელდა ფერომონების შეცვლა (500 ცალი).
- სამცხე-ჯავახეთში განთავსებული ფერომონიანი ხაფანგების მონიტორინგი განხორციელდა ოთხჯერ: V-VI-VII და VIII. (მ/წ 20 აგვისტოს მომხდარი ხანძრის გამო გამოტოვებული იქნა ორი მონიტორინგი - IX და X).
- 2017 წლის დასაწყისში განთავსებულ 2226 ცალ ფერომონიან ხაფანგს დაემატა ახალი 1774 ცალი ხაფანგი. სულ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული ხაფანგების საერთო რაოდენობა შეადგენს 4000 ცალს, რომელთა მეშვეობითაც დაჭერილი და განადგურებული იქნა მე-3 კვარტალში 512282 ცალი მავნებელი.
- განხორციელდა 4000 ცალი მწერმჭერის ჩამოხსნა და დასაწყობება ქერქიჭამიით დაავადებულ ნაძვნარ კორომებში.

## ტყის აღრიცხვის სამმართველო

**საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:**

- ტყის მართვის გეგმის შემუშავების მიზნით მომზადდა გურიის რეგიონში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდის (11 300 ჰა), ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) ტექნიკური დავალება;
- ტყის მართვის გეგმის შემუშავების მიზნით, მომზადდა გურიის რეგიონში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდის (22 200 ჰა), ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) ტექნიკური დავალება;
- ტყის მართვის გეგმის შემუშავების მიზნით, მომზადდა იმერეთის რეგიონში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ტყის ფონდის (14 000 ჰა), ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) ტექნიკური დავალება.
- ზემოაღნიშნულ რეგიონებში ტყის აღრიცხვის სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებულ იქნა ტენდერი და დაწყებული იქნა ტყის აღრიცხვის სამუშაოები.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:**

- ლანჩხუთის სატყეო უბნის (ფართობი 11 300 ჰა), ოზურგეთის სატყეო უბნის (ფართობი 22 200 ჰა) და ზესტაფონის სატყეო უბნის (ფართობი 14 000 ჰა) ტყის ფონდის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები.

**მიღწეული შუალედური შედეგები:**

- დასრულდა ტყის ფონდის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის პირველი (მოსამზადებელი სამუშაოები - საკვარტალე ქსელის პორექტი და ორთო-ფოტო გეგმების დეშიფრირების კონტურების „შეიპ“ ფაილები) და მეორე (საველე სამუშაოები) ეტაპი ლანჩხუთის (11 300 ჰა), ოზურგეთისა (22 200 ჰა) და ზესტაფონის (14 000 ჰა) სატყეო უბნებისთვის.

**დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოძველებულია და არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას.

**მიზნობრივი მაჩვენებელი -** დასრულებულია ლანჩხუთის (11 300 ჰა), ოზურგეთისა (22 200 ჰა) და ზესტაფონის (14 000 ჰა) სატყეო უბნებისთვის საველე სამუშაოები.

- **მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

ტყის ფონდის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის სამუშაოების ორი ეტაპი დასრულებულია ლანჩხუთის (11 300 ჰა), ოზურგეთისა (22 200 ჰა) და ზესტაფონის (14 000 ჰა) სატყეო უბნებისთვის. აღნიშნული სამუშაოების საფუძველზე შემუშავდება ტყის მართვის გეგმები, რომელშიც აისახება სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები მიმართული ტყის დაცვაზე, რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაციონალურ და მრავალმიზნობრივ გამოყენებასა და კვლავწარმოებაზე; ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდება: ტყეების დაყოფა ფუნქციონალური დანიშნულებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ მოძველებული ინფორმაციის განახლება, ტყის რესურსების აღრიცხვა, ტყის მეურნეობის წარმოების და ტყის რესურსების მაჩვენებლების და ხარისხის დადგენა და ანალიზი, „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და იშვიათი, რელიქტური, ენდემური, შეზღუდული გავრცელების არეალის მქონე მცენარეების, მაღალი კონსერვაციული ღირებულების მოწყვლადი და განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნების გამოვლენა. სახელმწიფო ტყის ფონდის ბიოლოგიური, პათოლოგიური და სხვა გამოკვლევები და შესაბამისი აღდგენა_გაშენების, ხანძარსაწინააღმდეგო, მავნებელ დაავადებებისაგან დაცვის და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების ეფექტური სისტემის დაგეგმვა, სახელმწიფოს ტყის ფონდის საზღვრების დაზუსტება და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის მომზადება.

# ტყითსარგებლობა და რეგიონული განვითარება

## ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიში

1. **ინფორმაცია ტყითსარგებლობის გეგმების განხილვების შესახებ:**

- ✓ შპს ,,ქართული ჯგუფი“-ს (ლიც. №1000058) ტყითსარგებლობის გეგმაში შესატანი ცვლილებების კამერალური გადამოწმება, განხილვა და დასამტკიცებლად მომზადება.
- ✓ შპს ,,რიონი ვუდი“-ს (ლიც. №100070) ტყითსარგებლობის გეგმაში შესატანი ცვლილებების საველე შემოწმება, კამერალური გადამოწმება, განხილვა და დასამტკიცებლად მომზადება.

2. **ინფორმაცია სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის შესახებ:**

***სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება მიენიჭათ შემდეგ სუბიექტებს :***

1.შ.პ.ს. "ჯორჯიან მანგანეზი"
2.შპს. "კავკასიის სამთო ჯგუფი"
3.შპს. "კავკასიის სამთო ჯგუფი"
4.ფ/პ სიმონ ჭიჭიაშვილი
5.შპს. "კავკასიის სამთო ჯგუფი"
6.სს "სმკ ულუსალ ინშაატ ვე თიჯარეთიის ფილიალი"
7.შ.პ. "საქართველოს გაერთიენბული წყალმომარაგების კომპანია"
8.მცხეთის მუნიციპალიტეტი
9.შ.პ. "ხეორიჰესი"
10.შსს-სასაზღვრო პოლიცია
11.სს "სილქნეტი"
12.შ.პ.ს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
13.შ.პ.ს "მობიტელი"
14.შ.პ.ს"სერპანტინი"
15.შ.პ.ს "ხეორიჰესი"
16.შ.პ.ს "საქართველოს მელიორაცია"
17.დუშეთის მუნიციპალიტეტი
18.სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემები"
19.ა(ა)იპ "ასოციაცია ატუ"
20.სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კოპრპორაცია"
21.სს "ენერგო პროჯორჯია"
22.შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი"

23.სს "სილქნეტი"
24.სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემები"
25.სს "სილქნეტი"
26.სს"საქართველოს მილსადენი კომპანიის ფილიალი"
27.ქ. ქუთაისის მერია
28.სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემები"
29.შ.პ.ს. "მთის კურორტების განვითარების კომპანია"
30.შ.პ.ს "პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც"
31.შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი"
32.სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
33.შ.პ.ს. "ენერგო ინვესტი"
34.შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი"
35.შ.პ.ს. "ენერგო ინვესტი"
36.კასპის მუნიციპ. გამგეობა
37.ღვთისმშობლის შობის მამათა მონასტერი
38.სს "სილქნეტი"
39.სს "სილქნეტი"
40.სს "სილქნეტი"
41.სს "სილქნეტი"
42.სს "სილქნეტი"
43.შ.პ.ს "ჯორჯიან გოლდ კომპანი"
44.შ.პ.ს "ჯორჯიან გოლ კომპანი"
45.შ.პ.ს "კავკასენერგო"
46.შ.პ.ს "აიდიეს ბორჯომი ბევრიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი"
47.სს "სილქნეტი"
48.შ.პ.ს "მთის კურორტების განვითარების კომპანია"
49.შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი"
50.შ.პ.ს "ხეორიჰესი"
51.შ.პ.ს "გაზ კონსტრაქტი"
52.შ.პ.ს "ჯორჯიან გოლდ კომპანი"
53.სს "ენერგო პროჯორჯია"
54.შ.პ.ს "ჯორჯიან გოლდ კომპანი"
55.სს "RMG Copper"
56.სს "ენერგო-პრო-ჯორჯია"
57.სს"ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი"
58.შ.პ.ს "RMG GOLD"
59.შ.პ.ს. "ენერგო ინვესტი"
60.სს "სილქნეტი"
61.სს "სილქნეტი"
62.შ.პ.ს "რისოულა"
63.ფ/პ ნელი ფარულავა

64.ფ/პ ზაქარია ანთია
65.შ.პ.ს "არ ემ ჯი აურამაინი"
66.შ.პ.ს "RMG GOLD"
67.შ.პ.ს "ჯორჯიან  გოლ  კომპანი"
68.შ.პ.ს. "კავკასიის სამთო ჯგუფი"
69.სს"საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა"
70.სს"საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა"
71.შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი"
72.ააიპ "ასოციაცია ატუ"
73.შ.პ.ს "გაზკო"
74.შ.პ.ს "კავკასიის სამთო ჯგუფი"
75.შ.პ.ს "ხიბლი"
76.სს "სილქნეტი"
77.სს "ენერგო-პრო-ჯორჯია"
78.სს "ენერგო-პრო-ჯორჯია"
79.შპს "Georgianairlink"
80.სს "სილქნეტი"
81.სს"ენერგო პრო ჯორჯია"
82. შპს "კასლეთი-2".

**3. ინფორმაცია გრძელვადიანი (იჯარები) ტყითსარგებლობის შესახებ:**

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“  2017 წლის 1 მარტის საქართველოს მთავრობის N106 დადგენილების შესაბამისად განხილული  იქნა 80 საქმე გრძელვადიან (იჯარები) ტყითსარგებლობასთან დაკავშირებით. აქედან 58 განმცხადებელს შესავსებად გადაეგზავნა მართვის ორგანოს მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმა, ხოლო 22 მოქალაქეს, რომელთაც ტყითსარგებლობისათვის მიწის ფართობი გათვალისწინებული ჰქონდათ საფუტკრის მოწყობის მიზნით, ეთქვა უარი გრძელვადიანი ტყითსარგებლობის (იჯარა) უფლების მინიჭების შესახებ. განცხადებებით მოთხოვნილი 68 მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზები გადაიგზავნა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, მიწის ნაკვეთებზე ფასის დადგენის მიზნით. 1 ერთეულ მიწის ნაკვეთზე, გაფორმდა გრძელვადიანი დანიშნულებით ტყითსარგებლობის ხელშეკრულება.

**4. ინფორმაცია  სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების შესახებ:**

სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის მიზანშეწონილობის თაობაზე, განხილულ იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოდან შემოსული 124 კორესპონდენცია. აქედან, 55 ფართობზე გაიცა თანხმობა, ხოლო 69 ფართობზე ლიცენზიის გაცემა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

## 5. საქმისწარმოება საკომუნიკაციო ნაგებობების განთავსებასთან დაკავშირებით:

კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე შ.პ.ს „კავკასუს ონლაინ“-თან, 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე - შპს „ჯეოსელთან“, 64 ერთეულ მიწის ნაკვეთზე - შპს „მაგთიკომთან“, 35 ერთეულ მიწის ნაკვეთზე - შპს „ვიონი საქართველო“-სთან.

მომზადდა ხელშეკრულების პროექტი შპს „ჯეოსელი“-ს მიერ მოთხოვნილ 79 ერთეულ მიწის ნაკვეთზე, შპს „კურორტი საირმე“-ს მიერ მოთხოვნილ 1 ერთეულ მიწის ნაკვეთზე.

შ.პ.ს. „ჯეოსელი“-ს მიმართ შედგა 1 (ერთი) ცალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

## 6. ინფორმაცია სატყეო სამეურნეო გზების (მოწყობა/რეაბილიტაცია) შესახებ, რეგიონების მიხედვით:

| ინფორმაცია სატყეო სამეურნეო გზების (მოწყობა/რეაბილიტაცია) შესახებ, რეგიონების მიხედვით; | | | | |
|---|---|---|---|---|
| N | სატყეო სამსახურები | სატყეო სამეურნეო გზა /მ/ | | შენიშვნა |
| | | დაპროექტებული | შესრულებული | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | მცხეთა-მთიანეთი | 18019 | 18019 | |
| 2 | ქვემო ქართლი | 4015 | 3752 | |
| 3 | შიდა ქართლი | 8219 | 4330 | |
| 4 | კახეთი | 0 | 0 | |
| 5 | სამცხე-ჯავახეთი | 22978 | 1000 | |
| 6 | რაჭა - ლეჩხუმ - ქვემო სვანეთი. | 10654 | 7667 | |
| 7 | სამეგრელო-ზემო სვანეთი. | 0 | 0 | |
| 8 | იმერეთი | 24661 | 21606 | |
| 9 | გურია | 19070 | 16892 | |
| 10 | *სულ:* | **107616** | **73266** | |

## 7. ინფორმაცია I ხარისხის ხე-ტყის (სამასალე) შესახებ:

ინფორმაცია „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორების მიერ მოთხოვნილი რესურსის შესახებ:

1. კახეთი - 1550მ³.
2. სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური - 15 000 მ³.
3. შიდა ქართლის სატყეო სამსახური - 3500 მ³.
4. იმერეთის სატყეო სამსახური - 1281 მ³.
5. გურიის სატყეო სამსახური - 2058 მ³.
6. მცხეთა-მთიანეთი - 107 მ³.
7. რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური - 19 300 მ³.
8. ქვემო ქართლის სატყეო სამსახური - 553 მ³.
9. სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური - 12 000 მ³.

**სულ: 55 349 მ³**



✓ ინფორმაცია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოთხოვნის საფუძველზე მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის სატყეო სამსახურების მიერ გამოყოფილი I ხარისხის ხე-ტყის შესახებ :

1. კახეთის სატყეო სამსახური - 563 მ³.
2. სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური - 8000მ³.
3. შიდა ქართლის სატყეო სამსახური - 1100 მ³.
4. იმერეთის სატყეო სამსახური -1281 მ³.
5. მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური - 107 მ³.
6. ქვემო ქართლის სატყეო სამსახური 553 მ³.
7. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური - 8000მ³.
8. გურიის სატყეო სამსახური - 1072 მ³.
9. სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური - 10000 მ³.

**სულ: 30 676 მ³**



✓ ინფორმაცია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოთხოვნის შესაბამისად სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსისი ბრძანებების საფუძველზე მოსახლეობისათვის გამოყოფილი I ხარისხის ხე-ტყით უზრუნველყოფის შესახებ :

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური - 9629 მ³.
2. კახეთის სატყეო სამსახური -552 მ³.
3. სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური - 7993 მ³.
4. შიდა ქართლის სატყეო სამსახური - 1061მ³.
5. იმერეთის სატყეო სამსახური - 1281მ³.
6. გურიის სატყეო სამსახური - 1072 მ³.
7. მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური - 107 მ³.
8. ქვემო ქართლის სატყეო სამსახური - 485 მ³.
9. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური - 6698 მ³.

**სულ : 28 878**



- ✓ გადაუდებელი აუცილებლობით (ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებით) გამოწვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით, გამოიცა სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებები **2 265** მ³ I ხარისხის ხე-ტყის გაცემის შესახებ.
- ✓ გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება **200** მ³ I ხარისხის ხე-ტყის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „თაფლ საჩინო“-ზე გადაცემის მიზნით.
- ✓ სააგენტოს უფროსის ბრძანებით **285** მ³ I ხარისხის ხე-ტყე გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს.

**8. ინფორმაცია II ხარისხის ხე-ტყის (საშეშე) შესახებ:**

- ✓ საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის), თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის

  II ხარისხის ხე-ტყის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო **22 466.5** მ³, მათ შორის საპატრიარქოსთვის **1 576** მ³ II ხარისხის ხე-ტყე.

- ✓ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, გადაეცა სანიტარული ჭრის შედეგად მიღებული და დასაწყობებული **588.25** მ³ II ხარისხის ხე-ტყე.

- ✓ მინისტრის ბრძანებით **150** მ³ II ხარისხის ხე-ტყე გადაეცა შ.პ.ს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს“.

**9. ინფორმაცია ტყის ფონდიდან ამორიცხულ ფართობებზე და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული და დასაწყობებული მერქნული რესურსის შესახებ:**

| დასაწყობებული მერქნული რესურსის შესახებ ინფორმაცია 2017 წელი | | |
|---|---|---|
| **რეგიონი** | **სულ: დასაწყობებული (თავისუფალი) მერქნული რესურსი /მ3/** | **სულ: გადაცემული მერქნული რესურსი /მ3/** |
| კახეთი | 425 | 0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 413 | 419.014 |
| იმერეთი | 140 | 97 |
| სამცხე-ჯავახეთი | 427 | 50 |
| მცხეთა-მთიანეთი | 144 | 60 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 414 | 52.7 |
| შიდა ქართლი | 2.78 | 347.18 |
| ქვემო ქართლი | 593 | 0 |
| გურია | 50 | 40 |
| **ჯამი:** | **2608.78** | **1065.894** |

**10**. შემოსულ 35 საქმეზე განცხორციელდა (ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაწერა), კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები.

**11. ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ხე-ტყის დამზადების შესახებ:**

**2017 წელს მიღება-ჩაბარებების მიხედვით დამზადებული და სააგენტოსთვის გადმოცემული მერქნული რესურსი.**

კახეთის რეგიონში დამზადდა 11 909.03 მ³ მერქნული რესურსი.
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დამზადდა 13 478,56 მ³ მერქნული რესურსი.
იმერეთის რეგიონში დამზადდა 3 315.946 მ³ მერქნული რესურსი.
რაჭა-ლეჩხუმ- ქვემო სვანეთის რეგიონში დამზადდა 1 087,45 მ³ მერქნული რესურსი.
შიდა ქართლის რეგიონში დამზადდა 24,23 მ³ მერქნული რესურსი.
სამცხე-ჯავახეთის (სანიტარული) რეგიონში დამზადდა 2 177,133 მ³ მერქნული რესურსი.
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ დამზადდა 1095.15 მ³ მერქნული რესურსი.

**სულ 2017 წელს დამზადდა 33 087,50 მ³ მერქნული რესურსი.**

**2017 წელს რეალიზებული და გადაცემული მერქნული რესურსი:**

იმერეთი - 1 886,331 მ³ მერქნული რესურსი.
კახეთი - 4 777,325 მ³ მერქნული რესურსი.
შიდა ქართლი - 19,821 მ³ მერქნული რესურსი.
სამცხე-ჯავახეთი (სპეც. ჭრა) – 1359.112 მ³ მერქნული რესურსი.
რაჭა-ლეჩხუმ- ქვემო სვანეთი - 420,25 მ³ მერქნული რესურსი.
რაჭა-ლეჩხუმ- ქვემო სვანეთი - 313,222 მ³ გადაეცა ეროვნულ საშენ მეურნეობას.
სამეგრელო-ზემო სვანეთი - 7269,17 მ³. მერქნული რესურსი.
სამეგრელო-ზემო სვანეთი მაღალმთიანი - 4371.15 მ³ .
სამცხე-ჯავახეთი (სანიტარული) – 1744,174 მ³ მერქნული რესურსი.
სამცხე-ჯავახეთი (სანიტარული) – 341,574 მ³ გადაეცა ბორჯომის მუნიციპალიტეტს.

**სულ: 22 502,126 მ² მერქნული რესურსი.**

მათ შორის აუქციონზე გაყიდული 17 476,183 მ³ მერქნული რესურსი.
პრდაპირი მიყიდვა (მაღალმთიანი) 4371,15 მ³ მერქნული რესურსი.
გადაცემული 654,796 მ³ მერქნული რესურსი.

**სკოლების მომარაგების მიზნით დამზადებული და გადაცემული საშეშე მერქნული რესურსი:**

კახეთი-618 $м^3$ მერქნული რესურსი.
სამეგრელო-ზემო სვანეთი-3060 $м^3$ მერქნული რესურსი.
იმერეთი-2802,6 $м^3$ მერქნული რესურსი.
ქვემო ქართლი-1708$м^3$ მერქნული რესურსი.
გურია-1778 $м^3$ მერქნული რესურსი.
შიდა ქართლი-1676,4 $м^3$ მერქნული რესურსი.
მცხეთა თიანეთი-1764 $м^3$ მერქნული რესურსი.
სამცხე ჯავახეთი-3304 $м^3$ მერქნული რესურსი.
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი-1255 $м^3$ მერქნული რესურსი.

**სულ: 17 966 კბ.მ.**

**12. ტყითსარგებლობის დეპარტამენტის თანამშრომელთა მივლინების შესახებ ინფორმაცია:**

- ✓ ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის მეტყევე სპეციალისტები სატყეო სამსახურების მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მივლინებით იმყოფებოდნენ **480** კალენდარული დღე.

# სახელმწიფო კონტროლის სფეროში განხორციელებული საქმიანობა

## შიდა კონტროლის სამსახურის 2017 წლის ანგარიში

2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე ტერიტორიული სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი იქნა 3482 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 2596 ფაქტი, სისხლის სამართლის - 231 ფაქტი, ხოლო 655 ფაქტზე დაიწერა საველე აქტი და გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში სამართალდამრღვევის გამოსავლენად. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 24 733,79 მ³, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ შეადგინა 3 496 484,28 ლარი.

| სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამოვლენილი სამართალდარღვევების ფაქტები 2017 წელი | | | | | | | | | | | | |
| ტერიტორიული ორგანოები (სატყეო სამსახურები) | გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტები, სულ | მათ შორის | | | უკანონოდ მოპოვებული რესურსის რაოდენობა | | | გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობა | ზიანი, მათ შორის | | | ჩამორთმეული რესურსი |
| | | ადმინისტრაციული სამართალდარღვევები | სისხლის სამართალდარღვევები | სამართალდამც. გადაგზავნ. (აქტებით) | ხე-ტყე (კუბ.მ) | სამასალე | საშეშე | | ადმინ. საქმეებზე | სისხლის სამართლის საქმეებზე | ნაკლებად მნიშვნელოვანი (აქტებით) | |
| ქვემო ქართლი | 352 | 163 | 20 | 169 | 1 227.04 | 0.00 | 1 227.04 | 134 970.25 | 19 832.48 | 52 516.33 | 62 621.44 | 121.14 |
| კახეთი | 1 028 | 993 | 35 | 0 | 7 305.18 | 1 247.56 | 6 057.62 | 1 010 667.49 | 63 611.99 | 947 055.50 | 0.00 | 695.132 |
| მცხეთა-მთიანეთი | 172 | 170 | 2 | 0 | 446.86 | 0.48 | 446.38 | 48 116.51 | 37 787.62 | 10 328.89 | 0.00 | 41.562 |
| შიდა ქართლი | 316 | 178 | 38 | 100 | 1 763.06 | 893.31 | 869.75 | 218 391.30 | 21 797.40 | 142 383.70 | 54 210.20 | 80.41 |
| სამცხე-ჯავახეთი | 518 | 303 | 68 | 147 | 6 560.74 | 3 979.30 | 2 581.44 | 722 213.15 | 66 710.98 | 557 032.74 | 98 469.43 | 54.2 |
| იმერეთი | 341 | 293 | 35 | 13 | 4 538.95 | 2 580.63 | 1 958.32 | 1 041 009.77 | 65 102.25 | 970 637.90 | 5 269.63 | 246.788 მ3; 1546 ბზის ტოტი; 50 თხილის ჭიგო; 30 თხმელის ჭიგო |
| რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი | 297 | 84 | 25 | 188 | 1 753.85 | 431.70 | 1 322.15 | 195 415.57 | 21 256.22 | 126 712.13 | 47 447.22 | 246.26 |
| გურია | 101 | 95 | 2 | 4 | 330.56 | 65.73 | 264.83 | 62 936.23 | 54 440.22 | 6 432.07 | 2 063.94 | 97.101 |
| სამეგრელო - ზემო სვანეთი | 357 | 317 | 6 | 34 | 807.54 | 62.04 | 745.50 | 62 764.00 | 19 618.96 | 27 282.70 | 15 862.34 | 14.1 |
| **სულ** | **3 482** | **2 596** | **231** | **655** | **24 733.79** | **9 260.75** | **15 473.04** | **3 496 484.28** | **370 158.12** | **2 840 381.96** | **285 944.20** | **1596.69** |

საანგარიშო პერიოდში შიდა კონტროლის სამსახურის თანამშრომლების მიერ შერჩევითი წესით შემოწმებული იქნა კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის სატყეო სამსახურების დაქვემდებარებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორია. შემოწმების შედეგად  აღრიცხული უკანონო ჭრის საერთო რაოდენობამ შეადგინა 8 450,27 მ³, გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა - 1 710 626,46 ლარი. მათ შორის, ზიანი მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნაზე შეადგენს 401 091,00 ლარს, ხოლო ტყეკაფის არასწორად გამოყოფით გარემოსთვის მიყენებული ზიანი შეადგენს - 46 612,17 ლარს.

**ინფორმაცია შიდა კონტროლის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმებებზე რეგიონების მიხედვით**

| N | რეგიონი | შემოწმებათა რაოდენობა | უკანონოდ მოპოვებული მერქნული რესურსის მოცულობა, მ3 | ზიანი, ლარი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | მ.შ. ზიანი უკანონო ჭრაზე | მ.შ. ზიანი მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნაზე | მ.შ. ზიანი ტყეკაფის არასწორად გამოყოფაზე |
| 1 | კახეთი | 10 | 2 379,46 | 323 081,16 | 323 081,16 | 0,00 | 0,00 |
| 2 | მცხეთა-მთიანეთი | 1 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 3 | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 2 | 277,94 | 77 114,76 | 31 487,64 | 0,00 | 45 627,12 |
| 4 | სამეგრელო-ზემო სვანეთი | 3 | 3 119,97 | 939 538,94 | 537 462,89 | 401 091,00 | 985,05 |
| 5 | სამცხე-ჯავახეთი | 3 | 2 460,78 | 323 694,12 | 323 694,12 | 0,00 | 0,00 |
| 6 | შიდა ქართლი | 1 | 212,12 | 47 197,48 | 47 197,48 | 0,00 | 0,00 |
| | **სულ** | **20** | **8 450,27** | **1 710 626,46** | **1 262 923,29** | **401 091,0** | **46 612,17** |

ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებების შედეგად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადებული იქნა 219 დასკვნა 203 პირის მიმართ, რაზედაც მოხდა შესაბამისი რეაგირება, დისციპლინური პასუხისგებლობის ზომა ,,შენიშვნა“ გამოეცხადა 113 თანამშრომელს, ,,გაფრთხილება“ – 37 თანამშრომელს, 83 თანამშრომელს დაუკავდა ხელფასი, 24 თანამშრომელი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო 11 თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა წახალისების ფორმა, მათზე მიმაგრებული სამცველოების შემოწმებისას უკანონო ჭრის ფაქტების არარსებობის საფუძველზე.

**2017 წელს შიდა კონტროლის სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნები სატყეო სამსახურების მიხედვით**

| სატყეო სამსახური | დასკვნა | პიროვნება | შენიშვნა | გაფრთხილება | ხელფასის დაკავება | განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან | წახალისება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 4 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 |
| იმერეთი | 33 | 32 | 17 | 4 | 13 | 6 | 0 |
| კახეთი | 68 | 51 | 30 | 14 | 29 | 7 | 0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 13 | 21 | 9 | 2 | 1 | 0 | 11 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 14 | 21 | 11 | 2 | 11 | 0 | 0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 19 | 22 | 10 | 4 | 8 | 4 | 0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 12 | 12 | 7 | 2 | 1 | 5 | 0 |
| ქვემო ქართლი | 11 | 11 | 4 | 3 | 3 | 1 | 0 |
| შიდა ქართლი | 45 | 30 | 23 | 5 | 16 | 1 | 0 |
| **სულ** | **219** | **203** | **113** | **37** | **83** | **24** | **11** |

ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დახურული იქნა 187 ტყეკაფი, ხოლო 2 წლის ვადის გასვლის გამო გაუქმებულ იქნა - 1921 ტყეკაფი.

| 2017 წელს ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დახურული და გაუქმებული ტყეკაფები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სატყეო სამსახური | სოციალური | | კომერციული | | სპეციალური | | სააგენტოს სპეციალური ჭრა | |
| | დახურული | გაუქმებული | დახურული | გაუქმებული | დახურული | გაუქმებული | დახურული | გაუქმებული |
| გურია | 11 | 80 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| იმერეთი | 1 | 62 | 16 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კახეთი | 4 | 415 | 20 | 39 | 16 | 0 | 2 | 0 |
| მცხეთა-მთიანეთი | 1 | 395 | 12 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი | 33 | 80 | 4 | 5 | 0 | 19 | 0 | 0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 0 | 40 | 2 | 4 | 4 | 0 | 5 | 0 |
| სამცხე-ჯავახეთი | 0 | 107 | 0 | 12 | 0 | 5 | 0 | 0 |
| ქვემო ქართლი | 39 | 310 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 |
| შიდა ქართლი | 0 | 330 | 9 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **სულ** | **89** | **1 819** | **65** | **76** | **26** | **26** | **7** | **0** |

## *მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მართვა*

სააგენტოში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება, სისტემის მომხმარებელთათვის პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევა.

2017 წელს ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციასთან წვდომის შესაბამისი იერარქიული დონეების გათვალისწინებით დაშვება მიენიჭა 83 მომხმარებელს, მათ შორის:

- ეროვნული სატყეო სააგენტო - 30 მომხმარებელი;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი - 5 მომხმარებელი;
- ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა - 1 მომხმარებელი;
- შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი - 35 მომხმარებელი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტი - 12 მომხმარებელი.

თვითმმართველი ორგანოების მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად მაცხოვრებელი კომლის წარმომადგენელთა სიების საფუძველზე ელექტრონულ სისტემაში აისახა 3564 პიროვნების მონაცემი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი).

**2017 წელს მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში**
**დარეგისტრირებული მეორე ხარისხის ხე-ტყით მოსარგებლეთა რაოდენობა**

| N | მუნიციპალიტეტი | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ადიგენის მუნიციპალიტეტი | 52 |
| 2 | ამბროლაურის მუნიციპალიტეტი | 53 |
| 3 | ასპინძის მუნიციპალიტეტი | 51 |
| 4 | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი | 9 |
| 5 | ახალციხის მუნიციპალიტეტი | 182 |
| 6 | ახმეტის მუნიციპალიტეტი | 318 |
| 7 | ბოლნისის მუნიციპალიტეტი | 122 |
| 8 | ბორჯომის მუნიციპალიტეტი | 256 |
| 9 | გარდაბნის მუნიციპალიტეტი | 2 |
| 10 | გორის მუნიციპალიტეტი | 5 |
| 11 | გურჯაანის მუნიციპალიტეტი | 79 |
| 12 | დმანისის მუნიციპალიტეტი | 147 |
| 13 | დუშეთის მუნიციპალიტეტი | 173 |
| 14 | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი | 1 |
| 15 | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი | 180 |
| 16 | თელავის მუნიციპალიტეტი | 637 |
| 17 | თიანეთის მუნიციპალიტეტი | 31 |
| 18 | კასპის მუნიციპალიტეტი | 225 |
| 19 | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი | 34 |
| 20 | მარნეულის მუნიციპალიტეტი | 33 |
| 21 | მცხეთის მუნიციპალიტეტი | 105 |
| 22 | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი | 1 |

| | | |
|---|---|---|
| 23 | ონის მუნიციპალიტეტი | 17 |
| 24 | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | 104 |
| 25 | საჩხერის მუნიციპალიტეტი | 7 |
| 26 | სიღნაღის მუნიციპალიტეტი | 64 |
| 27 | ტყიბულის მუნიციპალიტეტი | 24 |
| 28 | ქალაქ თბილისი | 74 |
| 29 | ქარელის მუნიციპალიტეტი | 31 |
| 30 | ქედის მუნიციპალიტეტი | 15 |
| 31 | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 2 |
| 32 | ყვარლის მუნიციპალიტეტი | 121 |
| 33 | შუახევის მუნიციპალიტეტი | 24 |
| 34 | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 23 |
| 35 | ცაგერის მუნიციპალიტეტი | 14 |
| 36 | წალკის მუნიციპალიტეტი | 21 |
| 37 | ჭიათურის მუნიციპალიტეტი | 7 |
| 38 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი | 2 |
| 39 | ხაშურის მუნიციპალიტეტი | 41 |
| 40 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 173 |
| 41 | ხულოს მუნიციპალიტეტი | 104 |
| | **ჯამი** | **3 564** |

# ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

## 2017 წლის ანგარიში

- 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სააგენტოს კანცელარიიდან გასულია - 16505 და შემოსულია - 45060 კორესპონდენცია; სააგენტოს თანამშრომელთა მიერ მომზადებულია 13229 - მოხსენებითი და 6902 - სამსახურებრივი ბარათი; სააგენტოს კანცელარიაში შემოსულია მოქალაქეთა - 9549 და თანამშრომელთა - 536 განცხადება.

- მომზადდა 1658 ბრძანება თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლებისა და ტყის მცველთათვის სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ; 271 ბრძანება - თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ; 866 ბრძანება - თანამშრომელთა შვებულებისა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შესახებ; 824 ბრძანება - მივლინების შესახებ; გაფორმდა 535 შრომითი ხელშეკრულება.

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების ზოგიერთ თანამდებობაზე დასანიშნად შესაბამისი კანდიდატების კონკურსის წესით შერჩევის მიზნით მომზადდა 18 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ, შეიქმნა საკონკურსო კომისიები, რომელთა მონაწილეობით სააგენტოს აპარატში და ტერიტორიულ ორგანოებში ჩატარდა კონკურსები ვაკანტურ თანამდებობებზე.

# საზოგადოებასთან ურთიერთობა და განათლება

## 2017 წლის ანგარიში

- 20 იანვარს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები საქართველოს რეგიონებში სახერხი საამქროს მფლობელებს შეხვდნენ;
- 25 იანვარს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა, რეგიონული სატყეო სამსახურების ხელმძღვანელობასთან მორიგი სამუშაო ფორმატის შეხვედრა გამართეს;
- 6 თებერვალს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები კახეთის რეგიონში ორდღიან სამუშაო შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, სადაც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით დამტკიცებულ „ტყით სარგებლობის წესში“ განსახორციელებელი ცვლილებების მომზადებაზე იმუშავეს;
- 18 თებერვალს სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამა ევროპის სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტით მოცული აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის - მეორე ფაზა (ENPI FLEG II) შეაჯამეს;
- 7 მარტს მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისში, ENPI FLEG II პროგრამის რეგიონული სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრა გაიმართა, სადაც ქვეყნების წარმომადგენლების მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები შეაჯამეს და 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები დაამტკიცეს;
- 7 მარტს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის შედეგების განხილვა მოხდა. საოჯახო მეურნეობების კვლევა, ტყით სარგებლობის, სიღარიბისა და სტიქიური მოვლენებისადმი დაუცველობის კუთხით, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ განხორციელდა;
- 7 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა კახეთის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება ალაზნის ჭალის ტყეებში არსებულ მდგომარეობაზე გამახვილდა;
- 13 მარტს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ „ნერგების ფესტივალში“ ქალაქ თბილისის მერთან, დავით ნარმანიასთან ერთად მიიღო მონაწილეობა. საქართველო-ჩინეთის

ურთიერთობის 25 წლისთავთან დაკავშირებით, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, 100-მდე სხვადასხვა სახეობის ნერგი დაირგო;

- 21 მარტს ეროვნული სატყეო საგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და სააგენტოს თანამშრომლებმა, ტყის საერთაშორისო დღე რუსთავის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლ „კარიტასი“-ს აღსაზრდელებთან ერთად გამწვანების აქციით აღნიშნეს. აქციის ფარგლებში ფონდმა „გაამწვანე საქართველო“-მ 60-ზე მეტი ალვისა და სოჭის სახეობის ნერგი გამოყო, რომელიც ბავშვებმა სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად დარგეს. ბავშვებს ასევე სააგენტოს თანამშრომლებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცეს;
- 27 მარტს ეროვნული სატყეო საგენტოს გურიის სატყეო სამსახურის თანმშრომლებმა ოზურგეთის #3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარეს. ბაღის ტერიტორიაზე მშობლებთან და პედაგოგებთან ერთად რამოდენიმე სახეობის ნერგი დარგეს და გარემოსდაცვით საკითხებზე ისაუბრეს. ამ ტიპის აქციები ხელს უწყობს პატარების ჩართულობას გარემოს გაჯანსაღებაში და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაში;
- 11 აპრილს ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის რეგიონური სამსახურისა და შემოქმედის ეპარქიასთან არსებული ორგანიზაცია, „მომავლის სხივის“-ის ინიციატივით, ქალაქ ოზურგეთის მზრუნველობამოკლებულ ბავთა სახლ „დღის ცენტრის“ აღსაზრდელებთან ერთად „აღდგომის ბაღში“ ჩატარდა დარგვის აქცია „გადავარჩინოთ კოლხური ბზა და ბუნებას ვაჩუქოთ თითო ხე”;
- 13 აპრილს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებით 23 თანამშრომელს მადლობა გამოეცხადა;
- „სუფთად ევროპისკენ“ დასუფთავების კვირეულს ეროვნული სატყეო სააგენტოს ყველა რეგიონული სამსახური შეუერთდა (გაშუქდა 19 ღონისძიება);
- 24 აპრილს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ ვაკის პარკში დედამიწის დღისადმი მიძღვნილ, ამერიკის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა;
- 27 აპრილს ეროვნულ სატყეო სააგენტოს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ ბრნოს სატყეო ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტები, პროფესორი ოტაკარ ჰოლუსასი და დოქტორი კატერინა პოლუსასი ესტუმრნენ;
- 28 აპრილი ეროვნული სატყეო სააგენტოს გურიის სატყეო სამსახურის თანამშრებლებმა, ტყის მოვლა-აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარის ტერიტორიაზე შვილებთან ერთად ნეკერჩხლის, წაბლფოთოლა-მუხისა და წაბლის ნერგები დარგეს;
- 2 მაისს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, USAID, USFS/IP-ს ფინანსური მხარდაჭერით, 153-ე სკოლის ეკოკლუბის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება მიზნად ისახავდა კრწანისის ტყე-პარკის პოპულარიზაციას. სააგენტოს ენტომოლოგებმა ბავშვებს ჩაუტარეს ლექცია ტყის თემატიკაზე და მის ღირშესანიშნაობებზე;
- 4 მაისს ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებმა, პანკისის ხეობაში, სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, 100 ძირი ფიჭვისა და არყის სახეობის ნერგი დარგეს;

- 5 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი კახეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და ადგილზე გაეცნო რეგიონში არსებულ პრობლემებსა და მიმდინარე საქმიანობას;
- 15 მაისს ეროვნული სატყეო სააგენტოს სპეციალისტებმა, კომპანია „ზოდი“-ს თანამშრომლებთან ერთად, ბორჯომის პლატოს ტერიტორიაზე, წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობის 300-მდე ნერგი დარგეს;
- 15 მაისს 2008 წლის ხანძრის შედეგად გადამწვარი სოფელ დაბის ტყის ფართობის აღდგენის ღონისძიების ფარგლებში, თბილისის კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და კურსდამთავრებულებმა კავკასიური ფიჭვის, მაღალმთის მუხისა და მთის ნეკერჩხლის სახეობის ნერგები დარგეს;
- 17 მაისს ბორჯომში ტყის მოვლა-აღდგენით სამუშაოებში, „ევროპის დღეების“ ფარგლბში, საჩხერის მეორე საჯაროს სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. აქციის ფარგლებში, 50 -მდე წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობის ნერგი დაირგო;
- 1 ივნისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა, ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახურის გარდაცვლილი ტყის მცველის კახაბერ ყურაშვილის ოჯახს ღირსების ორდენი გადასცა;
- 5 ივნისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი და ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა რეგიონული სატყეო სამსახურების ხელმძღვანელებს შეხვდნენ;
- 6 ივნისს სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ კოლხური ბზის დაზიანებული კორომების დამუშავება დაიწყო.
- ტყის ფონდში არსებული დაზიანებული ბზის კორომების შეწამლვა ბიოლოგიური პრეპარატით იმერეთის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში 400 ჰა-ზე მეტ ფართობზე განხორციელდება;
- 23 ივნისს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ორგანიზებული მედიაპროექტის პირველი ფაზის დახურვის ღონისძიებას დაესწრო და პროექტში მონაწილე ჟურნალისტებთან სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრა;
- 4 ივლისს ეროვნულ სატყეო სააგენტოს ლიტვის რესპუბლიკის  გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე მარტინას ნორბუტასი ესტუმრა;
- 6 ივლისს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ და ილია წინამძღვრიშვილის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა თეიმურაზ ასათიანმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს;
- ივლისს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ბულაჩაურის „მწვანე ცენტრში“ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) ინიციატივით, მედიის წარმომადგენლებისთვის პროექტის - „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში, შემაჯამებელ შეხვედრას დაესწრო;
- 11 ივლისს, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ კოლხური ბზის გადარჩენის პროგრამის, მიმდინარე წლის მეორე ეტაპი დაიწყო;

- 12 ივლისს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილეოლომონ პავლიაშვილი ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამსახურების თანამშრომლებს შეხვდა;
- 2 აგვისტოს, ეროვნული სატყეო სააგენტოს ორგანიზებით, გურიის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციაში სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში, 2017 წელს განსახორციელებელ ტყის აღრიცხვის საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა;
- 4 აგვისტოს, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, კოლხური ბზის კორომების დამუშავების მესამე ეტაპი დაიწყო;
- 13 აგვისტოს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, ცაგერის მუნიციპალიტეტში ბზის კორომების შეწამვლითი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო, სადაც მონიტორინგის მიზნით ბზის კორომების ფართობზე 100-მდე ფერომონიანი მწერსაჭერები განთავსდა;
- 4 სექტემბერს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში არსებულ სიტუაციაში ადგილზე გარკვევის მიზნით იმყოფებოდა;
- 9 სექტემბერს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა, ქალაქ ყვარელში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ის ორგანიზებით გამართულ, „ტყის მდგრადი მართვის პრინციპების, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებასთან დაკავშირებულ“ სამუშაო შეხვედრას დაესწრო;
- 11 სექტემბერს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრა გამართა;
- 23 სექტემბერს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ეროვნული სატყეო სააგენტოს სპეციალისტებმა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან ერთად, ბორჯომის ნახანძრალი ტერიტორიები დაათვალიერეს;
- 28 სექტემბერს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა საერთაშორისო ექსპერტს, დოქტორ ჰელმუტ ქოშელს შეხვდა;
- 30 სექტემბერს, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში გამართულ სახალხო დღესასწაულ „პანკისობა 2017“-თან დაკავშირებულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა;
- 3 ოქტომბერს, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე ბზის ალურით დაზიანებული კოლხური ბზის კორომების შეწამლვა დაასრულა;
- 11 ოქტომბერს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, ბორჯომსა და წაღვერში ნახანძრალი ტყის ტერიტორიის შემსწავლელი კომისიის წევრებს შეხვდა;
- 13 ოქტომბერს, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე ნათია იორდანიშვილი „ევროპის ტყეების კვირეულში“ მონაწილე ბავშვებს თავისუფალ უნივერსიტეტში შეხვდა და მათ სერტიფიკატები გადასცა;

- 23 ოქტომბერს ბორჯომის ხეობაში აგვისტოს თვეში ნახანძრალ ტერიტორიაზე კომისიამ საველე გასვლა განახორციელა. კომისიამ ხანძრით დაზიანებული ტერიტორიები დეტალურად შეისწავლა და დაადგინა 2017 წლის 20 აგვისტოს ხანძრით მოცული ტერიტორიის ზუსტი ფართობი დაზიანების კატეგორიების მიხედვით, არსებული ნიადაგური და გეოლოგიური მდგომარეობა ნაკვეთების მიხედვით, ტერიტორიაზე არსებული განადგურებული ფლორა/ფაუნა და მიყენებული ზიანი;
- 1 ნოემბერს რეგიონების მასშტაბით ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ საჯარო სკოლების საშეშე მერქნით მომარაგება დასასრულს უახლოვდება. სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ, რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებსა და მთავარი მეტყევეებს მადლობა გადაუხადა ამ ეტაპზე განხორციელებული სამუშაოებისათვის და მათგან სკოლების საშეშე მერქნით მომარაგების მიმდინარეობის დინამიკაზე ანგარიში ჩაიბარა;
- 11 ნოემბერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტოს, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ტყის ინვენტარიზაციის (არსებული) გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით განხორციელებასა და ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის დანერგვას ეხება;
- 24 ოქტომბერს ჩეხეთის რესპუბლიკის „მენდელის სახელობის“ უნივერსიტეტის ორგანიზებით აგრარულ უნივერსიტეტში სატყეო სექტორში მომუშავე ექსპერტებისთვის „ტყის მენეჯმენტი და გარემოს დაცვა საქართველოში" კონფერენცია გაიმართა, ეროვნული სატყეო საგენტოს წარმომადგენლებმა იაკობ კაპანაძემ და ეკატერინე ბალარჯშვილმა „ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია საქართველოში“ და „ტყის ხანძრები საქართველოში“ პრეზეტაცია წარადგინეს;
- 28-29 ნოემბერს ეროვნული სატყეო საგენტოს ორგანიზებით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ის მხარდაჭერით, კახეთის მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრაზე ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიმდინარე წელს განხორციელებული ორი უმნიშვნელოვანესი პროექტის შეჯამება და ანალიზი განხორციელდა;
- 30 ნოემბერს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,აისი'' სწავლის პროცესის გახსნის ცერომონია გაიმართა. კოლეჯი მიმდინარე წელს განახლებული პროგრამით იწყებს სატყეო საქმის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვას.
- 1 დეკემბერს საპატრიარქოს ფონდ "გაამწვანე საქართველოს"-ა და ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთობლივი გამწვანების აქცია ეროვნული გვარდიის შტაბის ტერიტორიაზე გაიმართა;
- 7 დეკემბერს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტთან ერთან რეგიონში სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საშეშე მერქნით მომარაგების პროცესი დაიწყო;
- 22 დეკემბერს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ, სააგენტოს რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებთან, 2017 წლის შემაჯამებელი, სამუშაო შეხვედრა გამართა;

- წლის განმავლობაში დამზადდა 38 საინფორმაციო ბანერი;
- შემოსულია 75 წერილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.